ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №5

2024 წლის 25 იანვარი

ქ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №1 ქუჩისთვის, 3 ჩიხისა და 1 შესახვევისთვის მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად, **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:**

მუხლი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №1 ქუჩას, 3 ჩიხსა და 1 შესახვევს მიენიჭოს მურთაზ ირემაძის სახელი თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად (დანართი 1).

მუხლი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. №4.

მუხლი 4

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა**